ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის

ოქმი N 5
30 მარტი. 2015 წ.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგი:

1. სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტის დამტკიცება
2. დეკანის არჩევის წესის დამტკიცება
3. ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფორუმისთვის წარმოდგენილი სტუდენტების მოხსენებების შერჩევა და დამტკიცება
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს, ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოების და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიების დებულების მიხედვით ფსიქოლოგიისა და განათლებისა ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცება;
5. წიგნების თარგმნასთან დაკავშირებული საკითხები;
6. ინგლისური ენის კრედიტის ჩანაცვლების შესახებ;
7. ინტერენეტ აკადემიის ჟურნალში რედკოლეგიის გაფართოებული შემადგენლობის დამტკიცება;
8. 2014-15 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება;
9. ასოცირებული პროფესორის გოგი გოროშიძის წერილის "ფაკულტეტისთვის აქტუალურ წინადადებათა 3 პაკეტი" -ს განხილვა.
10. სხვადასხვა: ასოცირებული პროფესორის ვახტანგ ნადარეიშვილის წერილის განხილვა.

სხდომას ესწრებოდნენ:
დეკანის მოვალეობის შემსრულებელი: პროფ. თ. გაგოშიძე.
ფაკულტეტის საბჭოს წევრები:
<u>ფსიქოლოგიის დეპარტამენტიდან:</u>, ასოც./პროფ.-ები: შ. აბზიანიძე, მ. მელიქიშვილი, ვ. ნადარეიშვილი, ლ. სურმანიძე, ბ. არუთინოვა, თ. აბაშიძე, ა.ქიტიაშვილი, მ. მესტვირიშვილი. ასისტ./პროფ.-ები: ე. ფირცხალავა, ი. გედევანიშვილი,ლ. ხეჩუაშვილი, შ. მამუკაძე, ხ. მარწყვიშვილი, ლ. ჩხიკვიშვილი.
<u>განათლების დეპარტამენტიდან:</u> პროფ. ქ. ჭკუასელი, ასოც./პროფ.-ები: ი. პეტრიაშვილი, ასისტ./ პროფ. ზ. ქიტიაშვილი.
<u>სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:</u> ბ. დადეშქელიანი, თ. კანდელაკი, გ.სალია

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა 20 წევრი.

განიხილეს:

1. სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტის დამტკიცება

ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, ლ. სურმანიძემ წარმოადგინა სამაგსიტრო სტანდარტი, რომელიც ჯერ კიდევ 2015 წლის 23 იანვარს საბჭოს 1 სხდომაზე იყო გამოტანილი განსახილველად. შემდგომში, საბჭოს დადაგენილების შესაბამისად, აღნიშნული სტანდარტი პროფესორებს გადაეგზავნათ შენიშვნებისთვის. საბოლოოდ, ასოც. პროფესორმა ლ. სურმანიძემ ფაკულტეტის საბჭოზე დასამტკიცებლად გამოიტანა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის შეჯერებული ვარიანტი .

**კენჭი უყარეს:** სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის დამტკიცებას.

მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

განხილვის პროცესში, პროფ. ქ. ჭკუასელმა დააყენა საკითხი იმის თაობაზე, რომ დოქტორანტს პროფესორის ასისტენტობად ჩაეთვალოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში მაგსიტრანტისათვის გაწეული დახმარება.

**აზრი გამოთქვეს:**

აღნიშნულ წინადადებაზე გაიმართა მსჯელობა და კამათი, რომელშიც მონაწილეობ-დნენ ასოც. პროფესორები მ. მესტვირიშვილი, ი.პეტრიაშვილი, ასისტენტ პროფესორი ზ. ქიტიაშვილი და პროფ. თ. გაგოშიძე. პროფესორებმა აღნიშნეს, რომ დოქტორანტს მინიმალური სტანსარტით არ აქვს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის უფლება, ანუ მეორე ხელმძღვანელობის უფლება. შესაძლებელია, რომ დოქტორანტი დაეხმაროს თავის ხელმძღვანელს მაგისტრანტებთან მუშაობაში და ეს დადგენილი წესით

**დაადგინეს:**

1. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი მიღებულ იქნას წარმოდგე-ნილი სახით

2. თსუ აკადემიური საბჭოს წევერებს ასოც.პროფესორ თ. აბაშიძეს და პროფესორ ქ. ჭკუასელს მიეცეთ ლეგიტიმაცია ფაკულტეტის საბჭოს სახელით დააყენონ დოქტორანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის საკითხი აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

2. **დეკანის არჩევის წესის დამტკიცება.**

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფ. თ. გაგოშიძემ საბჭოს წარმოუდგინა დეკანის არჩევის წესი, რომლიც გასაცნობად და აზრის გამოსათქმელად წინასწარ გადაგზავნილი იყო ფაკულტეტის საბჭის წევრების ელექტრონულ მისამართებზე. საბჭოს წევრებს არ გამოუთქვამთ შენიშვნები დეკანის არჩევის წარმოდგენილი წესის თაობაზე.

**კენჭი უყარეს:** ფაკულტეტის დეკანის არჩევის წარმოდგენილ წესს.

მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

**დაადგინეს**: დეკანის არჩევის წესი მიღებული იქნეს წარმოდგენილი სახით.

3. **ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფორუმისათვის წარმოდგენილი მოხსენებების შერჩევა და დამტკიცება**

კომისიამ, რომელიც სტუდენტთა ნაშრომების შესაფასებლად ფაკულტეტის 2015 წლის 23 იანვრის საბჭოს (ოქმი #1) გადაწყვეტილებით გამოიყო ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობიდან, მოახსენა საბჭოს თავისი მოსაზრება წარმოდგენილი მოხსენებების შესახებ. შესარჩევი კომისია წარმოდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით: ლ. ხეჩუაშვილი, ლ. ჩხიკვიშვილი, გ. გოროშიძე, ბ. დადეშქელიანი. კომისიას სტუდენტების ნაშრომები ანონიმური სახით დაეგზავნა.

მოსაზრებები გამოთქვეს კომისიის წევრებმა: ლ. ხეჩუაშვილმა და ლ ჩხიკვიშვილმა. საბჭო დეტალურად გაეცნო საკითხს.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ საკონკურსოდ წარმოდგენილი იყო 3 ნაშრომი:

- მარეხ დევიძე-მამულაიშვილი. "კონფლიქტის ტრანსფორმაცია ორგანიზაციებში „ლოკალებს" და „კოსმოპოლიტანელებს" შორის (დოქტორანტურა).
- თეკლა ნემანიშვილი. ლია ჯანაშია. სტუდენტების დამოკიდებულება ლექტორებისადმი (ბაკალავრიატი).
- ნინო ასათაშვილი, თეკლა ნემანიშვილი. „ფემინისტებო, ჰაიტ", ანუ ფემინისტების სტიგმატიზაცია საქართველოში: იდენტობა, სტიგმა და დაძლევა (ბაკალავრიატი).

მოსაზრებები გამოთქვეს კომისიის წევრებმა: ლ. ხეჩუაშვილმა და ლ. ჩხიკვიშვილმა. საბჭომ მიიღო ამომწურავი ინფორმაცია წარმოდგენილ მოხსენებათა ავკარგიანობის თაობაზე. საბჭოს წევრებმა განიხილეს კომისიის წევრთა მოსაზრებები.

**კენჭი უყარეს:**

ი. ჯავახიშვილის ფორუმზე წარმოდგენილი 3 ნაშრომიდან ფორუმზე გაიგზავნოს ბაკალავრიატის სტუდენტების - ნინო ასათაშვილისა და თეკლა ნემანიშვილის ნაშრომი „„ფემინისტებო, ჰაიტ", ანუ ფემინისტების სტიგმატიზაცია საქართველოში: იდენტობა, სტიგმა და დაძლევა".

მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

საბჭომ გაიზიარა კომისიის გადაწყვეტილება, ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფორუმისათვის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორების მიერ წარმოდგენილი მოხსენებებიდან ფორუმზე გაიგზავნოს ასოცირებული პროფესორის ვახტანგ ნადარეიშვილის ნაშრომი. კომისიამ წარმოადგინა კომისიის სხდომის ოქმი.

**დაადგინეს:** ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფორუმისათვის წარმოდგენილი პროფესორთა მოხსენებებიდან ფორუმზე შეირჩეს ასოცირებული პროფესორის ვახტანგ ნადარეიშვილის ნაშრომი.

პროფესორთა ნაშრომების შეფასების საკითხის განხილვისას, კომისიის წევრმა ასოც. პროფესორმა ბ.არუთინოვამ წამოჭრა საკითხი მოხსენებების მომზადებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რამაც გამოიწვია კამათი. მოსაზრებები გამოთქვეს: თ. გაგოშიძემ, თ. აბაშიძემ, ლ. სურმანიძემ, ი. პეტრიაშვილმა.

მოსაზრებების მოსმენის შემდეგ საბჭომ დააყენა საკითხი ეთხოვოს უნივერსიტეტს მომავალი ფორუმისათვის შემუშავდეს კონკურსანტებისათვის ნაშრომის მომზადების და ასევე მათი შეფასების საუნივერსიტეტო კრიტერიუმები.

**კენჭი უყარეს:** შემუშავდეს ი. ჯავახისვილის ფორუმისათვის მოსამზადებელი მოხსნებების მომზადებისა და შეფასების კრიტერიუმები.

მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

**<u>დაადგინეს:</u>** აკადემიური საბჭოს წევრებს ასოც.პროფესორ თ. აბაშიძეს და პროფ. ქ. ჭკუასელს მიეცეთ ლეგიტიმაცია საბჭოს სახელით დააყენონ ეს საკითხი აკადემიური საბჭოს სხდომაზე

4. **ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს დამტკიცება.**

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფ. თ. გაგოშიძემ მოახსენა საბჭოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოსა და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიების დებულების მიხედვით ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს არჩევის შესახებ.

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფ. თ. გაგოშიძემ დაასახელა ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს წარმომადგენელთა კანდიდატურები:
დეკანის მოვალეობის შემსრულებელი პროფ.თ. გაგოშიძე,
პროფ.: მ. წერეთელი, გ. მაღრაძე, ქ.ჭკუასელი,
ასოც.პროფ.:ბ არუთინოვი, ი.პეტრიაშვილი, ი.კუტალაძე, გ.გოროშიძე, შ.აბზიანიძე
ასისტენტ პროფ.: ე. ფირცხალავა, ხ.მარწყვიშვილი, ი. აფთარაშვილი, შ.მამუკაძე, მ.დეპოსტაშვილი.

**აზრი გამოთქვეს:** ასოც.პროფ. შ. აბზიანიძემ, ასოც. პროფ. ლ. სურმანიძემ, ასოც. პროფ. ბ. არუთინოვამ. მათ აღნიშნეს, რომ ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოში ყველა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის წარმომადგენლებია. ფაკულტეტის საგამომცელო საბჭოს წევრებმა თავიანთ ინსტიტუტებში შექმნან დარგობრივი სარედაქციო კოლეგიები.

**კენჭი უყარეს:** ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს წარმოდგენილ შემადგენლობას.

მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

**<u>დაადგინეს:</u>** დამტკიცებულ იქნას წარმოდგენილი კანდიდატები ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს წევრებად.

**5. წიგნების თარგმნასთან დაკავშირებული საკითხები.**

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფ. თ. გაგოშიძემ კიდევ ერთხელ შეახსენა საბჭოს სახელმღვანელოების წიგნების თარგმნასთან დაკავშირებული შეთანხმება, საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე.

**აზრი გამოთქვეს:** ასისტენტ პროფესორმა ლ.ხეჩუაშვილმა, რომელიც ფაკულტეტზე კოორდინაციას გაუწევს შერცეული წიგნების თარგმანს. მან აღნიშნა, რომ უკვე შედგა კოორდინატორთა შეკრება პროფ. მ. ელიაშვილთან და განიხილეს წიგნის თარგმნისა და გამომცემლობის ნებართვასთან დაკავშირებული საკითხები. მან წარმოადგინა წიგნების

Grace J. Craig, Wendy L. Dunn (2009). Understanding Human Development, 2nd Edition, Pearson სამეცნიერო რედაქტორი, ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილი. საბჭომ იმსჯელა თარჯიმნებთან დაკავშირებით და აღინიშნა, რომ თარგმნის მსურველებმა გამოსაცდელად თარგმნონ რამდენიმე გვერდი და მათგან საუკეთესოები შეირჩნენ.

წიგნის, Barry H. Kantowitz, Henry L. Roediger III, David G. Elmes (2009). Experimental Psychology, 9th Edition, სამეცნიერო რედაქტორობის სურვილი გამოთქვეს ასოცირებულმა პროფესორებმა ა. ქიტიაშვილმა, ბ. არუთინოვმა და ასისტენტ პროფესორმა ი. გედევანიშვილმა.

**კენჭი უყარეს:** თარგმანის ხარისხის შეფასების მიზნით, თარჯიმნობის კანდიდატებს მოეთხოვოთ რამდენიმე გვერდის საცდელი თარგმანი.

მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

**დაადგინეს:** დაევალოს ასასტენტ პროფესორს ლ.ხეჩუაშვილს თარჯიმნის კანდიდატების იდენტიფიკაცია და მათი საცდელი თარგმანის შეფასება.

6. **ინგლისური ენის კრედიტის ჩანაცვლების საკითხი**;

ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის მართვის ხელმღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა, მანანა მელიქიშვილმა წარმოადგინა ინგლისური ენის კრედიტის ჩანაცვლების საკითხი. მან აღნიშნა, რომ საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს, თსუ-ს ენების ცენტრის დასკვნის საფუძველზე თავისუფლდებიან ინგლისური ენის სავალდებულო 10 კრედიტისგან და ეს სავალდებულო კრედიტები უნდა შეავსონ თავისუფალი კრედიტებით. შესაბამისად, სტუდენტმა ინგლისური ენის 10 კრედიტის ნაცვლად უნდა აირჩიოს სხვა საგანი.

**კენჭი უყარეს:**

მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

**<u>დაადგინეს:</u>** საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს, წარმოდგენილი უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატის, რომელიც დადასტურებული იქნება თსუ-ს ენების ცენტრის მიერ, მიენიჭოს 10 კრედიტი. და მიეცეთ უფლება ეს სავალდებულო კრედიტები შეავსონ თავისუფალი კრედიტებით.

7. **ინტერენეტ აკადემიის ჟურნალში რედკოლეგიის გაფართოების საკითხი;**

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფ. თ. გაგოშიძემ წარმოადგინა კანდიდატურები ინტერენეტ აკადემიის ჟურნალში რედკოლეგიის გაფართოებული შემდაგნელობისთვის.

ინტერნეტ აკადემიის ჟურნალში სარედაქციო კოლეგიის წევრები:
პროფ.: ქ.ჭკუასელი, მ.წერეთელი
ასოც.პროფ: ი.პეტრიაშვილი, რ.სანაძე, ე.ღვინერია, ე.ხარაძე, ნ.ჩახუნაშვილი, ლ.სურმანიძე, გ.გოროშიძე
ასისტ.პროფ. მ.დესპოტაშვილი

**კენჭი უყარეს:** ინტერენეტ აკადემიის ჟურნალში რედკოლეგიის წარმოადგენილ შემადგენლობას.

მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

**<u>დაადგინეს:</u>** დამტკიცებულ იქნას წარმოდგენილი კანდიდატები ინტერენეტ აკადემიის ჟურნალში სარედაქციო კოლეგიის წევრებად.

8. **2014-15 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება.**

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფ. თ. გაგოშიძემ წარმოადგინა ინფორმაცია, 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ფაკულტეტის კურსდამთავრებულების შესახებ. აღნიშნულ სტუდენტებს შესრულებული აქვთ საბაკალავრო პროგრამისთვის გათვალისწინებული სავალდებულო 240 კრედიტი.

სწავლების ძირითადი დარგი: ფსიქოლოგია
ჩვეულებრივი დიპლომი:

1. ბარბაქაძე გვანცა
2. ბენდელიანი ანა
3. ბოგველი მარიამ
4. დიდებაშვილი ანი
5. თაბაგარი ეკატერინე
6. თევზაძე ქეთევან
7. იოსელიანი ქეთევან
8. ინასარიძე ელზა
9. კეკელია ანა
10. კოსტავა ანა
11. მჭედლიძე ნინო
12. ნათენაძე ნათია
13. ოტიაშვილი მიხეილ
14. ხარებავა მარიამ
15. ჯანაშვილი თორნიკე
16. ჯანიაშვილი ვანო

**კენჭი უყარეს:** მიენიჭოთ განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2014-2015 წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

**დაადგინეს:** მიენიჭოთ სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიაში და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2014/2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს.

სწავლების ძირითადი დარგი: დაწყებითი განათლება

დიპლომი წარჩინებით

1. ტატიშვილი მარიამ

დიპლომი ჩვეულებრივი

1. ბაკურაძე მირანდა
2. ვარდოსანიძე მარიამ
3. ზარნაძე ნინო
4. კიკალიშვილი ელენე
5. კუბლაშვილი ნინო

6. მახათაძე თამთა
7. სულაშვილი ნინო

**კენჭი უყარეს:** მიენიჭოთ განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2014-2015 წლის შემოდგომის სემესტრში კურსდამთავრებულებს. სწავლების ძირითადი დარგი: დაწყებითი განათლება.

მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

**დაადგინეს:** მიენიჭოთ განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2014-2015 წლის შემოდგომის სემესტრში კურსდამთავრებულებს.

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფ. თ. გაგოშიძის ინფორმაციით, სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში კურსდამთავრებულები. აღნიშნულ სტუდენტებს შესრულებული აქვთ სამაგისტრო პროგრამისთვის გათვალისწინებული სავალდებულო 120 კრედიტი.

სამაგისტრო პროგრამა: "სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია"
დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ბექაური მარიამი

სამაგისტრო პროგრამა: „განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა"
დიპლომი ჩვეულებრივი

1. აბუაშვილი ფატმან

**კენჭი უყარეს:** სამაგისტრო პროგრამების 2014-2015 წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულების წარდგინებას:

მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

**დაადგინეს:**

**მიენიჭოს** სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულს:
სამაგისტრო პროგრამა: "სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია"
დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ბექაური მარიამი

**მიენიჭოს** განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულს:

სამაგისტრო პროგრამა: „განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა“.

დიპლომი ჩვეულებრივი:

2. ფატმან აბუაშვილი

9. **ასოცირებული პროფესორის გოგი გოროშიძის წერილის “ფაკულტეტისთვის აქტუალურ წინადადებათა 3 პაკეტი” -ს განხილვა**

საკითხის წარმომდგენი ასოცირებული პროფესორი გოგი გოროშიძის სხდომაზე არყოფნის გამო გადაიდოს საკითხის განხილვა შემდეგი სხდომისთვის.

მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

**დაადგინეს:** საბჭომ განიხილოს ასოცირებული პროფესორის გოგი გოროშიძის წერილი “ფაკულტეტისთვის აქტუალურ წინადადებათა 3 პაკეტი” შემდეგ სხდომაზე.

10.**სხვადასხვა**

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფ. თ. გაგოშიძემ წარმოადგინა ასოცირებული პროფესორის, ვახტანგ ნადარეიშვილის წერილი, რომელშიც ის ითხოვს შემოქმედებით შვებულებას - საბათიკალს.

**კენჭი უყარეს:** დაკმაყოფილდეს ასოცირებული პროფესორის, ვახტანგ ნადარეიშვილის თხოვნა შემოქმედებითი შვებულების თაობაზე.

მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

**დაადგინეს:** მიეცეს ასოცირებულ პროფესორს, ვახტანგ ნადარეიშვილს შემოქმედებითი შვებულება 2015-2016 სასწავლო წლებში.

სხდომის თავმჯდომარე პროფ. თ. გაგოშიძე

სხდომის მდივანი ასისტ./პროფ. ე. ფირცხალავა

30.03.2015